

ანა პოლიტკოვსკაია

კუტინის რუსეთი

ცხოვრება დაღმავალი დემოკრატიის ეპოქაში

ინგლისურიდან თარგმნა
გვანცა ჯობავამ



გამომცემლობა **არტანუჯი**
თბილისი

ჩემი ქვეყნის ჯარი

რუსეთის ჯარი – ეს სრულიად დახურული ზონაა. იგივე ციხე-უფრო ზუსტად კი, სწორედაც ციხეა, უბრალოდ სხვა სახელი ჰქვია. ვერც ციხეში და ვერც ჯარში კაცი ვერ შედგამს ფეხს, თუ ამას ციხის (ჯარის) ხელმძღვანელობა არ „მოისურვებს“. აქედან მოდის ტრადიცია, რომ თითოეული ადამიანის ცხოვრება ჯარში მონობის ტოლფასია.

რა თქმა უნდა, ჩვენ ახალი არაფერი გვითქვამს – ნებისმიერ ქვეყანაში ჯარი მიისწრაფვის, მაქსიმალურად დახურული ზონა იყოს და როგორც ჩანს, სწორედ ეს გვაძლევს საფუძველს გენერლები, საერთო მახასიათებლებით, ადამიანთა საერთაშორისო ტომის ნაწილად განვიხილოთ, მიუხედავად იმისა, რომელ პრეზიდენტსა თუ ქვეყანას ემსახურებიან.

თუმცა არსებობს რუსული ჯარისთვის დამახასიათებელი, უფრო სწორად კი, ჯარისა და სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთობის სპეციფიკური მახასიათებლები. ეს კი იმაში გამოიხატება, რომ რუსეთში არ არსებობს სამოქალაქო ხელისუფლების მხრიდან სამხედროებზე რაიმე სახის კონტროლი. ჯარისკაცი, როგორც ჯარის სტრუქტურის უმდაბლესი კასტა, არარაობაა, ნულია. საჯარისო დანაყოფების ბეტონის კედლების მიღმა ნებისმიერ ოფიცერს შეუძლია ისე მოექცეს ჯარისკაცს, როგორც მოუნდება და რაც იმ ნუთას თავში აზრად მოუვა. ამავე პრინციპით უფროს ოფიცერს შეუძლია, თავის უმცროს კოლეგას დამართოს ნებისმიერ რამ, რაც მოეპრიანება.

ალბათ უკვე ენაზე მოგადგათ შეკითხვა: ნუთუ, შეიძლება ყველაფერი ასე ცუდად იყოს?

მთლად ყოველთვის არა. შექმნილი სიტუაცია უკეთესობისკენ პერიოდულად იცვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ჯარის დანაყოფებში უეცრად გამოჩნდება ადამიანი ჰუმანური მიდრეკილებებით და თავის ქვეშევრდომებს წესრიგისკენ მოუწოდებს. მხოლოდ ასეთი ცალკეული გამონაკლისების შემთხვევაში გამობრწყინდება ხოლმე სინათლის სხივი. მთლიანობაში კი ჯარი დახურული და მონური ორგანიზმია.

– მაგრამ რას აკეთებენ თქვენი ლიდერები? – ალბათ დაინტერესდებით, – პრეზიდენტი ხომ უმაღლესი მთავარსარდალია, პირველი პირი ჯარში, რომელიც პერსონალურადაა პასუხისმგებელი იქ შექმნილ სიტუაციაზე?

მას შემდეგ, რაც ჩვენი ლიდერები (პრეზიდენტები) კრემლში ადგილს დაიკავებენ, მისწრაფვიან არა იმისკენ, რომ როგორმე ბოლო მოუღონ ამაზრზენ ტრადიციებს და ხელი შეუწყონ ისეთი კანონების მიღებას, რომელიც აღკვეთს განუკითხაობას ჯარში, არამედ პირიქით, ზრუნავენ, რომ ჯარში ხელმძღვანელებს დაქვემდებარებულ ადამიანებზე რაც შეიძლება მეტი ძალაუფლება მისცენ. ჯარი დაუჭერს თუ არა მხარს ლიდერს, სწორედ ამ ძალაუფლების გადაცემის ხარისხზეა დამოკიდებული. ჯარში სიტუაციის შერბილების ერთადერთი მცდელობა, როგორც დემოკრატიული თავისუფლებისკენ საყოველთაო მისწრაფების შემადგენელი ნაწილი, ბორის ელცინის მმართველობის დროს შეინიშნებოდა. მაგრამ ამ ძვრებმა დიდხანს ვერ გასტანა. რუსეთში ძალაუფლება ტრადიციულად ჯარისკაცების სიცოცხლის გადარჩენაზე ბევრად ძვირფასია. აღშფოთებული გენერალური შტაბის ზენოლით ელცინმა თეთრი დროშა აღმართა და დანებდა.

პუტინს კი ეს არც უცდია. იგი თავადაა ყოფილი ოფიცერი და ამით ყველაფერი ნათქვამია. როდესაც მისი სახელი პირველად წამოტივტივდა, როგორც სახელმწიფოს მომავალი შესაძლო მეთაურის, და არა როგორც ყველასთვის საძულველი ფედერა-

ლური უშიშროების ბიუროს არაპოპულარული მმართველისა, მან ოფიციალურად განაცხადა, რომ ელცინის პოლიტიკისა და ჩეჩნეთის პირველ ომში მარცხის გამო დამცირებული ჯარი უნდა გაახალგაზრდადებულიყო და ერთადერთი, რაც მას საბოლოო აღორძინებამდე აკლდა, ჩეჩნეთის მეორე ომი იყო. ეს განცხადება ანგარიშვალდებულია ყველაფერზე, რაც შემდგომში მოხდა. როდესაც 1999 წელს ჩეჩნეთის მეორე ომი დაიწყო, ჯარს თავისუფალი მოქმედების უფლება მიეცა, ამიტომაც 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში, ჯარმა ვლადიმერ პუტინს ერთპიროვნულად დაუჭირა მხარი. ჯარისთვის არსებული ომი ძალზე ხელსაყრელი აღმოჩნდა, მედლების წყარო და ჩინის დაჩქარებული მინიჭება, პირველი რანგის ტრამპლინი პოლიტიკური კარიერისთვის. ახალგაზრდა გენერლები, რომლებიც აქტიურობით გამოირჩეოდნენ, პირდაპირ პოლიტიკურ ელიტაში იკვლევდნენ გზას. პუტინი კი ამასობაში უკვე ახალი წინასაარჩევნო ლოზუნგით წარსდგა ქვეყნის წინაშე: მან ელცინის დროს დაჩოქებული და ჩეჩნეთის პირველ ომში დამარცხებული ჯარი ფეხზე დააყენა.

სინამდვილეში როგორ „დაეხმარა“ პუტინი ჯარს, ამას თავად შეიტყობთ იმ ისტორიებიდან, რომელსაც ქვემოთ მოგიყვებით. თავად გადანყვიტეთ, მოგეწონებოდათ თუ არა, გეცხოვრათ ქვეყანაში, სადაც თქვენ მიერ გასტუმრებული გადასახადები ამგვარ ინსტიტუციას მოხმარდება. რას იგრძნობდით, როდესაც თქვენი ვაჟი, რომელსაც 18 წელი შეუსრულდა (ჯარში განვევის ასაკი), იქცეოდა „ადამიანურ მასალად“ – ფორმულირება, რომელიც ასე მიღებულია ჩვენთან – მისაღები იქნებოდა თქვენთვის ჯარი, საიდანაც ჯარისკაცები ყოველ კვირა მასობრივად გარბიან დეზერტირებად, ზოგჯერ ოცეულები ან ზოგჯერ სრული შენაერთებიც კი? გარბიან გაურკვეველი მიმართულებით, ოღონდაც სიცოცხლე შეინარჩუნონ. რას იფიქრებდით ჯარზე, სადაც მხოლოდ ერთ წელიწადში, 2002 წელს სრული ბატალიონი, ხუთას კაცზე მეტი, დაიხოცა არა მტრის ხელით, არამედ ცემით? სადაც ოფიცრები იპარავენ ყველაფერს, დაწყებული ათრუბლიანებით, რომელსაც

რიგითებს მშობლები უგზავნიან, დამთავრებული სახელმწიფოს კუთვნილი ტანკებით? სადაც უფროს ოფიცრებს ეჯავრებათ უმცროსი ოფიცრები და სცემენ მათ განუკითხავად, როგორც და როცა მოესურვებათ. უმცროსი ოფიცრები კი ამ დაგროვილ ბოლმას რიგით ჯარისკაცებზე ანთხევენ? სადაც ოფიცრებს ეჯავრებათ რიგითი ჯარისკაცების დედები, რომლებიც მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთან ყველა დაშინებულია, ზოგ შემთხვევაში მაინც, როდესაც სიკვდილის გარემოება აღმამფოთებელია, პრეტენზიას გამოთქვამენ, რომ მათი შვილები დახოცეს და დამნაშავის დამსახურებულ დასჯას ითხოვენ.

პირველი ისტორია

№უ-729343: ბრძოლის ველზე დაპინჯებული

2002 წლის 18 ნოემბერია. ნინა ლევურდა, რუსული ენისა და ლიტერატურის ყოფილი (ახლა პენსიაზეა გასული) მასწავლებელი 25-წლიანი სტაჟით, დამძიმებული და გადაღლილი ხანშიშესული ქალბატონი, სხვადასხვა მძიმე დაავადებით დახუნძლული, როგორც არაერთხელ ბოლო ერთი წლის განმავლობაში, კვლავაც საათობით იცდის მოსკოვის კრასნაია პრესნიას საუბნო სასამართლოს არასასიამოვნო მიმღებში.

ნინას არსად წასვლა არ შეუძლია. ის დედაა, რომელიც ვაჟის გარეშე დატოვეს. უფრო მეტიც, სიმართლის გარეშე საკუთარი ვაჟის შესახებ. ლეიტენანტი პაველ ლევურდა, დაბადებული 1975 წელს, ჯარისკაცის ნომერი უ – 729343, ჩეჩნეთის მეორე ომის დასაწყისში მოკლეს. არა თავად სიკვდილის ფაქტმა, რადგან ჩვენი დედები ყველაფერს და მათ შორის შვილების სიკვდილსაც კი მიეჩვივნენ, არამედ გარემოებამ, რომელშიც მკვლელობა მოხდა და იმან, რაც ამას მოჰყვა, აიძულა ნინა, ბოლო თერთმეტი თვე სასამართლო ინსტანციებში ევლო ერთადერთი მიზნით – მიიღოს

ხელისუფლებისაგან იურიდიულად ზუსტი პასუხი კითხვაზე: რატომ მოხდა, რომ მისი ვაჟი ასე უბრალოდ დაავინყდათ ბრძოლის ველზე? და მას, ბრძოლის ველზე დავინყებულ მებრძოლის დედას, შვილის სიკვდილის შემდეგ ასე უმოწყალოდ რატომ ექცეოდა თავდაცვის სამინისტრო?

ბავშვობაში პაველ ლევურდა სამხედრო კარიერაზე ოცნებობდა, რაც არც ისე ჩვეულებრივი მოვლენაა ჩვენს დროში. ვაჟები ისეთი ღარიბი ოჯახებიდან, რომელთაც არ შეუძლიათ შვილებს უმაღლესი განათლება დაუფინანსონ, მართლაც მიისწრაფიან სამხედრო აკადემიებისკენ, მაგრამ მათი ერთადერთი მიზანია, მიიღონ დიპლომი და მაშინვე ჩამოშორდნენ სამხედრო სამსახურს. პრეზიდენტის უწყების თვითკმაყოფილი ანგარიშები, სადაც საუბარია იმაზე, როგორ იზრდება კონკურენცია სამხედრო სასწავლებლებში ჩასაბარებლად, სიმართლეს შეესაბამება. მაგრამ ეს არა ჯარის პრესტიჟის გაზრდიდან, არამედ განათლების მაძიებელთა სიღარიბიდან მომდინარეობს. ის, რომ არსებობს სწავლის, თუმცა არა სამხედრო სამსახურის სურვილი, გარკვეულწილად ხსნის დანაყოფებში უმცროს ოფიცერთა რაოდენობის კატასტროფულ შემცირებას. უმცროსი ოფიცრები, როდესაც სასწავლებელს ამთავრებენ, არ მიდიან იმ გარნიზონებამდე, სადაც გაანაწილეს, გზაში „მძიმე დაავადება შეეყრებათ“, ან „მოულოდნელი ინვალიდობის“ ცნობას იკეთებენ, რისი მოხერხებაც ისეთ კორუმპირებულ ქვეყანაში, როგორიც რუსეთია სავსებით შესაძლებელია.

პაველი განსხვავებული იყო. მას მართლა უნდოდა ოფიცერი გამხდარიყო. მშობლები ცდილობდნენ, გადაეთქმევინებინათ, რადგან იცოდნენ, რა მძიმე ცხოვრებაა ჯარში. პაველის მამა, პეტრ ლევურდა თავადაც ოფიცერი იყო და ოჯახს გამუდმებით ერთი შორეული გარნიზონიდან მეორეში უწევდა გადაადგილება.

ადრეულ 1990-იან წლებში საბჭოთა კავშირის რღვევის კვალდაკვალ ქვეყანაში დიდი ქაოსი იყო. მხოლოდ შეშლილი თუ გადანწყვტდა საშუალო განათლების მიღების შემდეგ სწავლა სამხედრო აკადემიაში გაეგრძელებინა, სადაც მაშინ სტუდენტებს ვერც კი კვებავდნენ. მაგრამ პაველმა მაინც თავისი გაიტანა და

სასწავლებლად შორეული აღმოსავლეთის უმაღლეს სამხედრო სასწავლებელში გაემგზავრა. 1996 წელს ოფიცრის წოდება მიიღო და სანკტ-პეტერბურგთან ახლოს გაამწესეს. 1998 წელს კი, ყველაზე ცხელ ზონაში, 58-ე არმიაში გადაისროლეს.

რუსეთში 58-ე არმია ქვეყნის შეიარაღებული ძალების გახრწნის სიმბოლოდ მიიჩნევა. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი არ დანკებულა პუტინის ხელისუფლებაში მოსვლის დროიდან, არამედ გაცილებით ადრე. თუმცა პუტინის მხრებზე აწევს უზარმაზარი პასუხისმგებლობა, ერთი მხრივ, ოფიცერთა სრული ანარქიის გამო, რომელიც ნებადართულია ჯარში და მეორე მხრივ, იმიტომაც, რომ ოფიცრებს, ფაქტობრივად, მიაკერა „სახელმწიფოებრივი ხელშეუხებლობის“ სტატუსი. მათ პრაქტიკულად სასამართლოში საქმე არ აქვთ. როგორი ხარისხის დანაშაულიც არ უნდა ჰქონდეთ ჩადენილი, დაუსჯელები რჩებიან.

58-ე არმია, სადაც ლევურდა მოხვდა, გენერალ ვლადიმირ შამანოვის არმიად იწოდება. რუსმა გმირმა, რომელიც ჩეჩნეთის ორივე ომში იბრძოდა, თავი სამოქალაქო საზოგადოებისადმი დიდი სისასტიკით გამოიჩინა. შემდეგ თავისი ნებით გადადგა და ამჟამად ულიანოვსკის ოლქის გუბერნატორია, რასაც ჩეჩნეთის მეორე ომის შემდგომ გამოიჩინა. იმ პერიოდში ტელეეკრანებიდან არ ჩამოდიოდა, ყოველდღიურად უხსნიდა საზოგადოებას, რომ „ყველა ჩეჩენი – ბანდიტია“ და სწორედ ამიტომ იმსახურებენ განადგურებას. შამანოვმა ამ ქმედებებში პუტინის სრული მხარდაჭერა მოიპოვა და ჩეჩნეთის მეორე ომი თავისი პოლიტიკური კარიერის პლაცდარმად გამოიყენა.

58-ე არმიის სამხედრო ქვედანაყოფები, რომლის შტაბი ვლადიკავკაზშია (ჩეჩნეთისა და ინგუშეთის რესპუბლიკის მოსაზღვრე ჩრდილოეთ ოსეთ-ალანიის დედაქალაქი) განთავსებული, იბრძოდნენ ჩეჩნეთის პირველ ომშიც და იბრძვიან ახლაც. 58-ე არმიის ოფიცრებმა, თავიანთი გენერლების მსგავსად, თავი გამოიჩინეს განსაკუთრებული სისასტიკით როგორც ჩეჩენი ხალხის, ისე საკუთარი ჯარისკაცებისა და უმცროსი ოფიცრების მიმართ. ჯა-

რისკაცების დედების როსტოვის კომიტეტის არქივი (დონის როსტოვი – ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქის საშტაბო ქალაქი, რომელსაც ექვემდებარება 58-ე არმია) ძირითადად შეიცავს საქმეებს, რომელიც უკავშირდება სწორედ 58-ე არმიიდან რიგითების დეზერტირობას, ოფიცერთა მიერ ცემის გამო. გარდა ამისა, ეს სამხედრო ქვედანაყოფი „განთქმულია“ საბრძოლო მასალის საკუთარი საწყობებიდან თავაშვებული ქურდობითა და ღალატით: საბრძოლო იარაღის ჩეჩენი მონინააღმდეგეებისთვის მიყიდვით – რუსი ოფიცრები საკუთარ მტერს ეხმარებიან.

პირადად ვიცნობ უამრავ ახალგაზრდა ოფიცერს, რომლებიც ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რომ როგორმე 58-ე არმიაში არ მოხვედრილიყვნენ. აი, ლევურდამ კი სხვაგვარად გადაწყვიტა. მისი წერილები მძიმე წასაკითხი იყო. როდესაც შვებულებით შინ ბრუნდებოდა, მშობლები ხედავდნენ, რომ სულ უფრო და უფრო გულჩათხრობილი და მოღუშული ხდებოდა. მშობლები სთხოვდნენ, სამსახურიდან წამოსულიყო, ის კი უბრალოდ პასუხობდა: „რაც მოსახდენია, უნდა მოხდეს“. დღეისთვის ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ პაველ ლევურდა წამდვილად იყო ერთი იმათაგანი, ვისზეც ხელისუფლებას შეეძლო დაუფიქრებლად ეთქვა, რომ ეს ახალგაზრდა სამშობლოს წინაშე მოვალეობის განსაკუთრებული, გამძაფრებული გრძნობითა და საკუთარი წარმოდგენით პატრიოტიზმზე, არის საუკეთესო სამხედრო ტრადიციების, ოფიცერთა ღირსებისა და ღირებულების ჭეშმარიტი, და არა პუტინური გაგებით, აღორძინების იმედი.

თუმცა ხელისუფლებამ სულ სხვა რამ თქვა...